

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო
დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP)
ოქმების რატიფიკაციისა და შესაბამისი
ვალდებულებების შესრულების ეროვნული
სამოქმედო გეგმა

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა

წინამდებარე გეგმა შეიმუშავა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ რეგიონული საპილოტე პროექტის “ ეროვნული შესაძლებლობების შეფასება და გაძლიერება „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (№ ოქმებთან მიერთებისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისათვის “ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის “ჰაერის ხარისხის მართვა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში” ფარგლებში.

ძირითადი განმახორციელებელი ორგანიზაციები:

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

სხვა ორგანიზაციები:

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

ენერგეტიკის სამინისტრო

სოფლის მეურნეობის სამინისტრო

შინაგან საქმეთა სამინისტრო (პოლიცია)

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ადგილობრივი ხელისუფლება

საერთაშორისო ექსპერტები:

ვალც ვილნიტისი

ჟულია დუბაშინსკა

ვიკტორია მაცეიკაიტე

არტურს კეუნი

ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებაში მონაწილე სხვა დაინტერესებული მხარეები

| | |
|----------------------|---|
| ქეთევან კორძაძე | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ნოე მეგრელიშვილი | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| მაია ტალახაძე | საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| მარინე არაბიძე | გარემოს ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ნანა თალაკვაძე | საქართველოს პარლამენტი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი |
| ლევან სოფრომაძე | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო |
| მარიტა არაბიძე | საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო |
| ელიზბარ დარჩიაშვილი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო |
| კუკური გოგინაშვილი | თბილისის მერია |
| მარინა არაბიძე | შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი |
| მარინე ქვათაძე | შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი |
| ნანა გაბრიაძე | დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი |
| ზეზუა მესხი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| თეა ლევიძე | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| ნინო ქვერგელიძე | სტატისტიკის ეროვნული სამსახური |
| თამაზ ბუდალაშვილი | შპს "Gamma Consulting" |
| ანა შუბითიძე | არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ |
| მადონა პირველაშვილი | არასამთავრობო ორგანიზაცია „Ecovision“ |
| ჯიმშერ ქერქაძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| ეკატერინე მაცაბერიძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| მარინე დემეტრაძე | საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი |
| ლაშა სუხიშვილი | ილიას ტექნიკური უნივერსიტეტი |
| ნინო შავგულიძე | კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი CENN |

შინაარსი

| | |
|--|----|
| 1. შესავალი | 5 |
| 2. განმარტებითი ნაწილი..... | 6 |
| 2.1. ოქმების ძირითადი პრიორიტეტები და მოთხოვნები..... | 6 |
| 2.1.1. პროტოკოლი მძიმე მეტალების შესახებ..... | 6 |
| 2.1.2. ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების (POPs) შესახებ..... | 6 |
| 2.1.3. გოტებორგის ოქმი..... | 7 |
| 2.2. არსებული მდგომარეობის შეფასება..... | 8 |
| 2.2.1. ოქმი მძიმე ლითონების შესახებ..... | 8 |
| 2.2.2. ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ | 8 |
| 2.2.3. გოტებორგის ოქმი..... | 9 |
| 2.3. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები..... | 12 |
| 2.3.1. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი..... | 12 |
| 2.3.2. რატიფიკაციის შერჩეული სცენარი | 13 |
| 2.3.3. ადმინისტრაციული ხარჯების გაანგარიშება..... | 14 |
| 2.3.4. ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრუქტურა | 15 |
| 3. ეროვნული სამოქმედო გეგმა..... | 16 |
| 3.1. მიზნები და ამოცანები..... | 16 |
| 3.2. ამოცანები, ქვეამოცანები და ქმედებები..... | 18 |

1. შესავალი

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციას (CLRTAP) (ჟენევა, 1979 წლის 13 ნოემბერი) საქართველო მიუერთდა 1999 წლის 11 თებერვალს. კონვენციის მიზანია შეზღუდოს, ან შესაძლებლობის ფარგლებში თანდათანობით შეამციროს და აიცილოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ჩათვლით.

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ფუნდამენტური პრინციპებით განსაზღვრულია, რომ კონვენციის თითოეული მხარე ვალდებულია დაიცვას ადამიანი და მისი გარემო ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისაგან ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის, კონსულტაციების, კვლევებისა და მონიტორინგის ჩატარებისა და სტრატეგიების შემუშავების, როგორც დამაბინძურებლების ატმოსფერულ ჰაერში გაშვების წინააღმდეგ მიმართული ზომების მიღების, გზით. ცალკეული ემისიების შემცირებისკენ მიმართული ზომები და მიზნები უფრო დაწვრილებით განსაზღვრულია კონვენციის 8 ოქმში. კონვენციის ქვემოთ მოცემული სამი ოქმი ყველაზე მნიშვნელოვანია კონვენციის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე:

- 1998 წლის ორჰუსის ოქმი მძიმე ლითონების შესახებ;
- 1998 წლის ორჰუსის ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) შესახებ;
- 1999 წლის გოტებორგის ოქმი შემჟავიანების, ეუტროფიკაციის და მიწისპირა ოზონის შემცირების შესახებ.

საქართველო, როგორც „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) მხარე, აპირებს აღნიშნული ოქმების რატიფიკაციას და მათი მოთხოვნების შესრულებას. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მნიშვნელოვან ძალისხმევას. ოქმების რატიფიკაციისა და შესრულების პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციისა და მათი მოთხოვნების შესრულების ეროვნულ სამოქმედო გეგმას. დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისგან. პირველი ნაწილი წარმოადგენს განმარტებით ნაწილს, რომელშიც აღწერილია „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმების მოთხოვნები, შეფასებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა და აღწერილია ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. დოკუმენტის მეორე ნაწილი წარმოადგენს ეროვნულ სამოქმედო გეგმას მიზნებით, ამოცანებით, ქვეამოცანებითა და ქმედებებით.

2. განმარტებითი ნაწილი

2.1. ოქმების ძირითადი პრიორიტეტები და მოთხოვნები

2.1.1. ოქმი მიმე ლითონების შესახებ

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) აღმასრულებელმა ორგანომ ოქმი მიმე ლითონების შესახებ დაამტკიცა 1998 წლის 24 ივნისს ორჰუსში (დანია). ოქმის მთავარი მიზანია მიმე ლითონების, განსაკუთრებით კი, მანგნე ლითონების, კადმიუმის, ტყვიისა და ვერცხლისწყლის ემისიების უარყოფითი ზემოქმედებების შემცირება. 2012 წელს ოქმში შევიდა რიგი ცვლილებებისა, რომლებიც ადგენენ უფრო მკაცრ მოთხოვნებს და განხორციელების უფრო მოქნილ მექანიზმებს ქვეყნების მიერ (განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების) ოქმის რატიფიკაციისა და მისი მოთხოვნების შესრულების პროცესის ხელშეწყობის მიზნით. ოქმის შესწორებული ტექსტი ჯერ-ჯერობით არ არის ძალაში შესული, თუმცა ამ პროექტის კონტექსტში გათვალისწინებულია მისი ეს ვერსია.

ოქმის მთავარი მოთხოვნაა განსაზღვრული ნივთიერებების ატმოსფეროში გაფრქვევის სრული მოცულობის შემცირება საბაზისო წელს დაფიქსირებული ემისიის დონესთან მიმართებაში (1990 წელი ან ნებისმიერი წელი 1985-დან 1995-მდე).

გარდა ამისა, ოქმი მოითხოვს პროდუქციის სავალდებულო კონტროლის დონისძიებების შემოღებას, ითვალისწინებს „საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების“ (□□) დანერგვას და ადგენს ზღვრულ სიდიდეებს რიგი სამრეწველო დარგებისთვის, წვის დანადგარებისა და ნარჩენების ინსინერატორებისთვის. ოქმის თანახმად, სასურველია პროდუქციის მართვის დამატებითი დონისძიებების შემოღებაც. აღნიშნული მოთხოვნა არ არის სავალდებულო, თუმცა ასეთი დამატებითი დონისძიებების დანერგვა ხელს შეუწყობს ოქმის მოთხოვნების შესრულებას მიმე ლითონების ემისიების შემცირების კუთხით, რაც ოქმის მთავარ მიზანს წარმოადგენს. ასეთი დამატებითი დონისძიებები: ოქმით განსაზღვრული ერთი ან მეტი მიმე ლითონის შემცველი პროდუქტის ჩანაცვლება სხვა პროდუქტით, პროდუქტის შესახებ ინფორმაციის არსებობა, მათ შორის მარკირება და სხვ.

2.1.2. ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების (POPs) შესახებ

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) აღმასრულებელმა ორგანომ ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) შესახებ დაამტკიცა 1998 წლის 24 ივნისს ორჰუსში (დანია). 2009 წელს ოქმში შევიდა ცვლილება, კერძოდ, განახლდა შეზღუდული და აკრძალული ნივთიერებების ჩამონათვალი. ოქმის არსებული ვერსია მოიცავს 16 ნივთიერებას, რომელთაგან 11 პესტიციდია, 2 – სამრეწველო ქიმიკატი, ხოლო 3 – გვერდითი პროდუქტი/დამაბინძურებელი. აღნიშნული ნივთიერებები განაწილებულია ოქმის სამ დანართში – დანართი I (ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება აკრძალვას), დანართი II (ნივთიერებები, რომლებიც ექვემდებარება შეზღუდულ გამოყენებას) და დანართი III (მუხლი 3-ის პარაგრაფი 5 (ა)-ში განსაზღვრული

ნივთიერებები და საბაზისო წელი თითოეული ნივთიერების მიმართ ვალდებულების შესასრულებლად¹. ოქმი მოითხოვს ჯერ კიდევ მოხმარებაში არსებული ნივთიერებების და განსაზღვრული ორგანული დამაბინძურებლების შემცველი ნარჩენების გამოვლენისა და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მათი უსაფრთხო უტილიზაციის სტრატეგიების შემუშავებას. გარდა ამისა, უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ემისიების შემცირების გეგმები და სტრატეგიები.

ისევე, როგორც ოქმი მძიმე ლითონების შესახებ, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ოქმიც მოითხოვს საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (□□) დანერგვას და ზღვრული სიდიდეების დაწესებას, რომლებიც იქნება, სულ მცირე, ისეთივე მკაცრი, როგორც ოქმშია.

2.1.3. გოტებორგის ოქმი

ოქმი შემუშავიანების, ეუტროფიკაციის და მიწისპირა ოზონის შემცირების შესახებ (გოტებორგის ოქმი) „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ყველაზე ახალი ოქმია. იგი მიღებულ იქნა 1999 წლის 30 ნოემბერს გოტებორგში (შვედეთი). თავიდან მან განსაზღვრა ატმოსფეროს ოთხი დამაბინძურებლის – გოგირდის, აზოტის ოქსიდების (NO_x), აქროლადი ორგანული ნაერთების (VOCs) და ამიაკის (NH_3) - ზედა ზღვრები 2010 წლისთვის. 2012 წელს ოქმში შევიდა ცვლილება 2020 წლისა და შემდგომი პერიოდისთვის ქვეყნების მიერ ემისიების შემცირების კუთხით აღებული ვალდებულებების გასათვალისწინებლად. ოქმის განახლებული ვერსიით შემოღებულია მოქნილი მექანიზმები, რომლებიც მიზნად ისახავს ახალი მხარეების, ძირითადად, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების, ოქმებთან მიერთების პროცესის ხელშეწყობას. გარდა ამისა, ოქმის განახლებულ ვერსიაში შესულია მყარი ნაწილაკების (PM_{10}) ემისიებიც. ოქმის შესწორებული ტექსტი ჯერ-ჯერობით არ არის ძალაში შესული, თუმცა ამ პროექტის კონტექსტში გათვალისწინებულია მისი ეს ვერსია.

ოქმის უმთავრესი ამოცანაა გოგირდის, აზოტის ოქსიდების (NO_x), აქროლადი ორგანული ნაერთების (VOCs), ამიაკისა (NH_3) და მყარი ნაწილაკების (PM_{10}) ემისიების შემცირება, რაც მიიღწევა წინასწარ განსაზღვრული კრიტიკული დატვირთვების/დონეების (შემუშავიანება, აზოტი, ოზონი, მყარი ნაწილაკები, ამიაკი) დაცვით და ქვეყნებისთვის ემისიების (SO_2 , NO_2 , VOCs , NH_3) ზღვრული სიდიდეების დაწესებით. ოქმის არსებული ვერსია თითოეული ქვეყნისთვის განსაზღვრავს 2020 წლისა და შემდგომი პერიოდისთვის ემისიების შემცირების ვალდებულებებს. ოქმი ასევე ადგენს ზღვრულ სიდიდეებს სტაციონარული და მობილური წყაროებისთვის, მოითხოვს პროდუქციის კონტროლის ზომების განხორციელებას, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვას, ენერგოდამზოგი დონისძიებების წახალისებას, ნაკლებად დამაბინძურებელი საწვავის გამოყენებას და ეროვნული პროგრამებისა და სტრატეგიების შემუშავებას.

ვინაიდან ოქმი ეხება ამიაკის ემისიებსაც, იგი განსაზღვრავს NH_3 -ის კონტროლის მინიმალურ ზომებს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებთან დაკავშირებით.

¹ III დანართში ჩამოთვლილი თითოეული ნივთიერების ემისიების წლიური მოცულობის შემცირება III დანართით განსაზღვრულ საბაზისო წელს დაფიქსირებული ემისიის დონესთან მიმართებაში

2.2. არსებული მდგომარეობის შეფასება

2.2.1. ოქმი მიიმე ლითონების შესახებ

საქართველოში მიიმე ლითონების ემისიების კონტროლი და მართვა ხორციელდება ემისიების ზღვრული სიდიდეების დადგენისა და დაბინძურებაზე ნებართვის გაცემის პროცესში. თუმცა, ემისიების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა ხორციელდება ეროვნული მეთოდოლოგიით, რომელიც ემყარება ძველ საბჭოთა მიდგომებს და არ არის პირდაპირ თავსებადი მიიმე ლითონების შესახებ ოქმის მოთხოვნებთან.

საქართველოში ნაწილობრივ ხორციელდება ოქმით განსაზღვრული პროდუქციის კონტროლის ღონისძიებები: ბენზინში ტყვიის შემცველობა განისაზღვრება 2004 წლის 31 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №124 დადგენილებით. მასში განსაზღვრული მნიშვნელობები სრულად შეესაბამება ოქმის მოთხოვნებს. თუმცა, არ არსებობს ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს ვერცხლისწყლის შემცველობას ცალკეული ტიპის ტუტე ბატარეებში (მანგანუმის ტუტე ბატარეები ექსტრემალურ პირობებში ხანგრძლივად გამოსაყენებლად და სხვა სახის მანგანუმის ტუტე ბატარეები), არ არის განსაზღვრული ზომები ვერცხლისწყლის შემცველობის გასაკონტროლებლად ოქმის III დანართის პარაგრაფ 3-ში მოცემულ სხვა პროდუქციაში. აგრეთვე, არ არის განსაზღვრული კადმიუმის ემისიების შემცირებისკენ მიმართული ღონისძიებები.

საქართველოში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ინვენტარიზაციის მონაცემებში არ მოიპოვება ინფორმაცია მიიმე ლითონებზე.

2.2.2. ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ

მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ოქმის მთავარი მიზნებია I და II დანართებში ჩამოთვლილი ნივთიერებების გამოყენების აკრძალვა ან მათი შეზღუდვა და III დანართში ჩამოთვლილი ნივთიერებების ემისიების წლიური მოცულობების შემცირება. ეს ნივთიერებები არ არის აკრძალული და შეზღუდული საქართველოს კანონმდებლობით.

სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში (საქართველოს მიერ ხელმოწერილი 2001 წლის 23 მაისს და რატიფიცირებული 2006 წლის 4 ოქტომბერს) შემუშავებულ და საქართველოს მთავრობის მიერ 2011 წლის 21 აპრილს დამტკიცებულ იქნა “მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ სტოკჰოლმის კონვენციის შესრულების ეროვნული სამოქმედო გეგმა”. გეგმა ეხება შემდეგ საკითხებს, რომლებსაც მინიჭებული აქვთ განსაკუთრებული მნიშვნელობა:

- ა) აუცილებელი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა;
- ბ) პოტენციალის ამაღლება რისკების შეფასებისა და მართვის სფეროში;
- გ) მონიტორინგის სისტემის შექმნა;
- დ) საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ეფექტური პროგრამის შემუშავება.

თუმცა, ჯერ-ჯერობით განხორციელებულია მხოლოდ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებასა და ინფორმაციის გაცვლასთან დაკავშირებული საქმიანობები. მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ოქმის მოთხოვნების ძირითადი ნაწილი, როგორცაა ცალკეული ნივთიერებების აკრძალვა ან შეზღუდვა, ემისიების მოცულობის შემცირება, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვა, ემისიების ინვენტარიზაციის ჩატარება, ემისიების შემცირების სტრატეგიებისა და ღონისძიებების შემუშავება, ჯერ კიდევ შესასრულებელია.

2.2.3. გოტებორგის ოქმი

ისევე, როგორც მძიმე ლითონების შემთხვევაში, გოტებორგის ოქმში განსაზღვრული (SO_2 , NO_2 , აქროლადი ორგანული ნაერთები, NH_3 , მყარი ნაწილაკები) დამაბინძურებლების მართვა საქართველოში ხორციელდება ემისიების ზღვრული სიდიდეების დადგენისა და დაბინძურებაზე ნებართვის გაცემის პროცესში. ემისიების ზღვრული სიდიდეების განსაზღვრა ხორციელდება ეროვნული მეთოდოლოგიით, რომელიც ემყარება ძველ საბჭოთა მიდგომებს და არ არის პირდაპირ თავსებადი გოტებორგის ოქმის მოთხოვნებთან. ოქმით განსაზღვრული ემისიების ზღვრული სიდიდეებისა და საქართველოში ეკონომიკური საქმიანობის ცალკეული განმახორციელებლებისთვის ნებართვების გაცემის პროცესში დადგენილი ემისიების ზღვრული სიდიდეების შედარება გეიხვენებს, რომ ცალკეულ შემთხვევებში ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლებისთვის დადგენილი ემისიების ზღვრული სიდიდეები გოტებორგის ოქმის მიერ დადგენილ სიდიდეებზე უფრო მაკაცრია. ცალკეულ შემთხვევებში კი ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლები მნიშვნელოვნად აჭარბებენ ოქმით დადგენილ სიდიდეებს.

გოტებორგის ოქმისთვის არასრულია ემისიების ინვენტარიზაციის მონაცემთა ბაზა. ემისიების ეროვნულ მონაცემთა ბაზას აწარმოებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. ბაზა მოიცავს მონაცემებს ე.წ. “ძირითადი დამაბინძურებლების” (CO , NO_x , SO_2 , მტვერი, და ა.შ.) შესახებ. ემისიების დასათვლელად გამოიყენება ემისიების ეროვნული კოეფიციენტები. თუმცა, ემისიების გამოსათვლელად გამოყენებული სტატისტიკური მონაცემები არასრულყოფილია და არ იძლევა დარგების მიხედვით ემისიების მოცულობების ზუსტად გამოანგარიშების შესაძლებლობას.

მონაცემებს რეგისტრირებული სტაციონარული წყაროების ემისიების შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში წარადგენენ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლები. საგზაო ტრანსპორტის ემისიები გამოითვლება საწვავის მოხმარების შესახებ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ წარმოდგენილი მონაცემებისა და ემისიის ეროვნული კოეფიციენტების გამოყენების საფუძველზე. მხოლოდ ამიაკის ემისიების გაანგარიშება ხდება სოფლის მეურნეობის დარგიდან EMEP/CORINAIR მეთოდოლოგიების გამოყენებით.

გოტებორგის ოქმი მოითხოვს ემისიების მოცულობის შემცირებას არა მარტო შერჩეულ საბაზისო წელთან მიმართებაში, არამედ ავადდებულებს ოქმის მხარეებს მოახდინონ ემისიების შემცირება ემისიების შემცირების იმ ვალდებულებების შესაბამისად, რომლებიც განსაზღვრულია თითოეული კონკრეტული ქვეყნისათვის. ამისათვის აუცილებელია არა მარტო ემისიების ინვენტარიზაციის მაღალი ხარისხით განხორციელება, არამედ გაფრქვევების მოსალოდნელი მოცულობების

პროგნოზირების სისტემის შექმნაც. გარდა ამისა, აუცილებელია კრიტიკული დატვირთვის მოცულობის განსაზღვრა და მისი დაცვა. საქართველოში ეს მოთხოვნები არ არის დაკმაყოფილებული.

გოტებორგის ოქმი მოიცავს ისეთ მოთხოვნებს, რომელთა მიზანი სატრანსპორტო სექტორიდან ემისიების შემცირებაა. საქართველოს კანონმდებლობაში გათვალისწინებულია საწვავის ხარისხის ცალკეული სტანდარტები ტყვიის შემცველობასთან დაკავშირებით, რომლებიც ევროკავშირის მოთხოვნებს შეესაბამება, თუმცა სხვა ისეთი პარამეტრები, როგორცაა გოგირდის შემცველობა, ნახშირწყალბადები და საწვავის სხვა მახასიათებლები, ჯერ კიდევ არ არის მოყვანილი შესაბამისობაში ევროკავშირისა და გოტებორგის ოქმების მოთხოვნებთან. ამავე დროს, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ემისიების ზღვრულ სიდიდეებს მობილური წყაროებისთვის. ოქმი ასევე მოითხოვს ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო სისტემის შემუშავებას და დანერგვას, ასევე ტრანსპორტის ეფექტური მართვის სისტემების წახალისებას. 2011 წელს შემუშავებულ იქნა თბილისის განვითარების სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იყო დედაქალაქში სატრანსპორტო სისტემის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ღონისძიებები. მიმდინარეობს მეტროს ახალი სადგურის მშენებლობა, ხდება საბაგირო ტრანსპორტის აღდგენა, ხორციელდება გზების ახალი სისტემის განვითარება ტრანსპორტის მოძრაობის ინტენსივობის შემცირების მიზნით, ქალაქში მოძრაობს ტაქსის ახალი მანქანები. თბილისის განვითარების სტრატეგიის თანახმად, 2020 წლისთვის ემისიების მოცულობა სატრანსპორტო სექტორიდან შემცირდება 25%-ით.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (□□) ცნება საქართველოში სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს, თუმცა მის შესასრულებლად არანაირი კონკრეტული ვალდებულება არ არსებობს. არ არსებობს აქროლადი ორგანული ნაერთების (V□□ს) შემცველი პროდუქციის (საღებავები, ავტომობილების ზედაპირის დამუშავებისთვის საჭირო ნივთიერებები) კონტროლისა და აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველი ნარჩენებისგან გამოწვეული დაბინძურების შემცირების ღონისძიებები. არ არსებობს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებიდან წარმოქმნილი ამიაკის ემისიების მოცულობების შემცირების ზომებიც.

გოტებორგის ოქმი მხარს უჭერს ნაკლებად დამაბინძურებელი საწვავის გამოყენებას და ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების პრაქტიკის დანერგვას. არ არის შემუშავებული მდგრადი განვითარების ეროვნული სტრატეგია, თუმცა შეიქმნა მდგრადი განვითარების ფონდი, რომელიც პასუხისმგებელია მდგრადი განვითარების სფეროში პროექტების შემუშავებაზე. არსებობს ენერგოეფექტურობის ცენტრი, რომელიც საქმიანობს ენერგოეფექტურობის სფეროში. 2006 წელს გამოიცა დოკუმენტი “საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები”, რომელშიც ხაზგასმულია ენერგოეფექტურობის პრაქტიკის გაუმჯობესებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების ათვისების მნიშვნელობა. გარდა ამისა, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 18 აპრილის დადგენილებით დამტკიცდა სახელმწიფო პროგრამა “განახლებადი ენერჯია 2008” საქართველოში განახლებადი ენერჯის ახალი წყაროების მშენებლობის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ღონისძიებები განმტკიცებულია შესაბამისი ფისკალური პოლიტიკითაც.

შესაბამისად, საქართველოს ენერგეტიკის სექტორში დაგეგმილია და უკვე განხორციელებული რიგი ღონისძიებებისა:

- გრძელვადიანი ამოცანა – საწვავის წვის შედეგად მიღებული ელექტროენერჯის ეტაპობრივი ჩანაცვლება ჰიდროენერჯით გამომუშავებული ელექტროენერჯით;
- ტექნიკური ბაზის მოდერნიზება, ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა;
- ენერგოეფექტურობის პრაქტიკის გაუმჯობესება, როგორც სამრეწველო, ასევე საყოფაცხოვრებო სექტორში;
- ენერგოეფექტურობის ხელშემწყობი სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს ჩამოყალიბება;
- კომბინირებული სისტემებისა და განახლებადი ენერჯის წყაროების პოტენციალის შესწავლა და ათვისება.

საქართველოში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი საბაზრო მექანიზმების დახვეწისა და ნაკლებად დამაბინძურებელი პროცესების და პროდუქციის ხელშეწყობის კუთხით. მოქმედებს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციის დიფერენცირებული გადასახადი, თუმცა ეს არის უფრო “ფუფუნების” გადასახადი და არა “გარემოსდაცვითი” გადასახადი. ამასთან, იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ძველ სატრანსპორტო საშუალებებს. შექმნილია კონკრეტული ხელშემწყობი პირობები ისეთი პროექტებისათვის, რომლებიც მიზნად ისახავს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასა და განვითარებას

ოქმი მოითხოვს ჰაერის ხარისხის მონიტორინგს, რაც საქართველოში თითქმის შესრულებულია. ქვეყნის მასშტაბით არ ხდება მხოლოდ PM₁₀ და PM_{2.5}-ის (მყარი ნაწილაკები) მონიტორინგი. აღნიშნულ დამაბინძურებლებზე დაკვირვება წარმოებს მხოლოდ ერთი მონიტორინგის ავტომატური სადგურის მეშვეობით.

იმისათვის, რომ საქართველომ დააკმაყოფილოს ოქმის მოთხოვნები, აუცილებელია შეიქმნას გოტებორგის ოქმში განსაზღვრული (SO₂, NO₂, აქროლადი ორგანული ნაერთები, NH₃, მყარი ნაწილაკები) ემისიების შემცირების ეროვნული სტრატეგია ან სამოქმედო გეგმა.

2.3. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პრინციპები

2.3.1. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი

წინამდებარე ეროვნული სამოქმედო გეგმა მომზადდა რეგიონული საპილოტე პროექტის - ეროვნული შესაძლებლობების შეფასება და გაძლიერება “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმებთან მიერთებისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულებისათვის - ფარგლებში, რომელიც ხორციელდება “ჰაერის ხარისხის მართვა ევროპის სამეზობლო და პარტნიორობის ინსტრუმენტის (ENPI) აღმოსავლეთ რეგიონის ქვეყნებში” პროექტით. აღნიშნული რეგიონული საპილოტე პროექტის მიზანი იყო ქვეყნის „შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმებთან მიერთებისა და შესაბამისი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობების გაზრდა ეროვნული სამოქმედო გეგმის შექმნის გზით. მნიშვნელოვანი მოსამზადებელი სამუშაო ჩატარდა იმისათვის, რომ შექმნილიყო ისეთი ეფექტური და ქმედითი გეგმა, რომელიც გაითვალისწინებდა ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას, ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და რისკებს და ოქმების რატიფიკაციასთან დაკავშირებულ შესაძლო ხარჯებსა და სარგებელს. ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- i. საქართველოში ჰაერის ხარისხის მართვის კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება, მისი შედარება სამი ოქმის მოთხოვნებთან და იმ საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც უნდა გადაიჭრას ოქმების რატიფიკაციამდე და რატიფიკაციის შემდეგ, რათა დაკმაყოფილებულ იქნეს ოქმების მოთხოვნები (“გზამკვლევის” (Road Map) შემუშავება);
- ii. ოქმების რატიფიკაციის ეროვნული სამოქმედო გეგმის სამი სხვადასხვა სცენარის განხორციელებადობის შეფასება, რომელიც ხარისხობრივად შეაფასებს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, შესაძლებლობებსა და რისკებს ოქმების რატიფიკაციასთან დაკავშირებით;
- iii. სამი ოქმის რატიფიკაციისა და განხორციელების ხარჯისა და მოგების ანალიზი;
- iv. “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციისა და განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება

პროცესის პირველი 3 ეტაპის სამუშაოები ჩაატარეს პროექტში ჩართულმა საერთაშორისო ექსპერტებმა ეროვნულ სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით. პროექტის ბოლო ეტაპზე მოხდა დაინტერესებული მხარეების ჩართვა ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა 2 სემინარის საშუალებით. დაინტერესებულ მხარეთა სემინარში მონაწილეობდნენ შემდეგი ორგანიზაციების წარმომადგენლები:

- ენერჯეტიკის სამინისტრო
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- თბილისის მერია
- შრომის, მედიცინისა და ეკოლოგიის ინსტიტუტი
- დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

- სტატისტიკის ეროვნული სამსახური
- შპს “Gamma Consulting”
- არასამთავრობო ორგანიზაცია “საქართველოს მწვანეთა მოძრაობა”
- არასამთავრობო ორგანიზაცია “Ecovision”
- საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი “CENN”

1, 2 და 3 ეტაპებზე განხორციელებული ქმედებების შედეგებზე დაყრდნობით სემინარების მონაწილეებმა შეარჩიეს “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციის ყველაზე ოპტიმალური სცენარი – სამივე ოქმის (ოქმი მიიმე ლითონების შესახებ, ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ და გოტებორგის ოქმი) რატიფიკაცია 2019 წლის ბოლოსთვის. შემდეგ ქვეთავში მოცემულია აღნიშნული სცენარის მხარდამჭერი მოსაზრებები.

2.3.2. რატიფიკაციის შერჩეული სცენარი

საქართველოს მიერ “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) სამივე ოქმის ერთდროულად რატიფიკაცია ქვეყნისთვის სხვადასხვა სარგებლის მომტანი ვარიანტია. პირველ რიგში, სამივე ოქმის (ოქმი მიიმე ლითონების შესახებ, ოქმი მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ და გოტებორგის ოქმი) მოთხოვნების შეფასებამ აჩვენა, რომ ამ ოქმების მოთხოვნების დიდი ნაწილი ერთმანეთის მსგავსია, ან სულაც იდენტური. მაგალითად, სამივე ოქმი მოითხოვს ემისიების ინვენტარიზაციის სისტემის შექმნას, ეროვნული სტრატეგიებისა და გეგმების განხორციელებას, ემისიების ზღვრული სიდიდეების შემოღებას, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (BATs) გამოყენებას, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსგავსი მოთხოვნების ერთიანად შესრულება მინიმუმამდე შეამცირებს ოქმების რატიფიკაციასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ ხარჯებს. მეორე, ოქმების რატიფიკაციის სხვადასხვა სცენარების განხორციელებადობის შეფასებამ აჩვენა, რომ 2019 წლის ბოლოსთვის სამივე ოქმთან მიერთება საქართველოს მისცემს ისეთ პოლიტიკურ და ტექნიკურ სარგებელს, როგორცაა პოლიტიკური მხარდაჭერა საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების საქმეში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების არსებობა, ენერგოეფექტურობის პოპულარიზაციისკენ მიმართული პოლიტიკისა და გარემოსდაცვითი ნებართვების ჩარჩოს არსებობა. ამავე დროს, ეს სცენარი ქვეყანას აძლევს მეტ დროს არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად სამართლებრივი ბაზის, სანებართვო სისტემის, ემისიების ინვენტარიზაციის სისტემის სრულყოფის, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (BATs) დამკვიდრებისა და ა.შ. კუთხით.

უნდა აღინიშნოს, რომ გოტებორგის ოქმის შესწორებული ტექსტის თანახმად, მხარეებს, რომლებიც მიუერთდებიან ოქმს 2019 წლის 31 დეკემბრამდე, ეძლევათ უფლება გამოიყენონ მოქნილი გარდამავალი მექანიზმი ოქმის ისეთი გარკვეული მოთხოვნების შესასრულებლად, როგორცაა ემისიების ზღვრული სიდიდეების დადგენა არსებული სტაციონარული წყაროებისთვის (ოქმის ძალაში შესვლიდან 15 წლამდე ვადაში), საწვავისა და მობილური წყაროებისთვის (5 წლამდე) და

აქროლადი ორგანული ნაერთებისთვის (5 წლამდე). აღნიშნული მოქნილი გარდამავალი პერიოდი საქართველოს მისცემს დამატებით მოსამზადებელ დროს ამ სტრატეგიებისა და ზომების შემოსაღებად. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, ზოგადად, წნეხი სახელმწიფო უწყებებსა და ეროვნულ ეკონომიკაზე გაცილებით ნაკლები იქნება.

აღსანიშნავია, რომ “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების ყველა მოთხოვნა ინტეგრირებულია ევროკავშირის სამართლებრივ სისტემაში. “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაცია და შესაბამისი მოთხოვნების შესრულება ხელს შეუწყობს საქართველოს კანონმდებლობის პარმონიზაციას ევროკავშირის გარემოსდაცვით სამართალთან.

2.3.3. ადმინისტრაციული ხარჯების გაანგარიშება

“შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების მოთხოვნების შესრულებისკენ მიმართული სხვადასხვა ქმედებების განხორციელება მოითხოვს დამატებით ადმინისტრაციულ ხარჯებს. აღნიშნული ხარჯები უნდა დაიფაროს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, შესაძლებელია ფინანსური დახმარების მოთხოვნა გარე წყაროებიდანაც.

ეროვნულ სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული თითოეული მოთხოვნის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები გამოითვალა ექსპერტების მოსაზრებების საფუძველზე. სამართლებრივი აქტების შემუშავების, ემისიების ინვენტარიზაციის სისტემის შექმნის, აუცილებელი შეფასებების ჩატარებისა და ა.შ. ხარჯები გაანგარიშებულ იქნა თითოეული სამუშაოს შესასრულებლად საჭირო ექსპერტ/დღეების საფუძველზე. აღნიშნულ ხარჯებს დაემატა ტექნიკური დახმარებისთვის საჭირო ხარჯები - კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენის, საინფორმაციო სემინარებისა და ტრენინგების ჩატარების და სხვა აუცილებელი ხარჯები. ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების შემთხვევაში ხარჯების გაანგარიშება განხორციელდა ევროკავშირის 2008/50/EC დირექტივით „ატმოსფერული ჰაერის ხარისხი და უფრო სუფთა ჰაერი ევროპისთვის“ დასახლებული პუნქტებისათვის განსაზღვრული მონიტორინგის ავტომატური სადგურების რაოდენობის საფუძველზე.

იმ შემთხვევებში, სადაც დაგეგმილი საქმიანობების შემსრულებლად მოიაზრება სახელმწიფო უწყებები ან სხვა ეროვნული ორგანიზაციები და დაფინანსების წყაროს სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს, ხარჯები დათვლილ იქნა ერთი თანამშრომლისთვის დროის გარკვეულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადასახდელი თანხების საფუძველზე. გაანგარიშება ემყარება არსებულ ფასებს მოსალოდნელი ინფლაციის გათვალისწინებით.

ხოლო, იმ საქმიანობების ღირებულება, რომელთა დაფინანსებაც მოსალოდნელია გარე წყაროებიდან, გამოთვლილ იქნა აღნიშნული საქმიანობების საერთაშორისო ექსპერტების ჯგუფის მიერ განხორციელების შესაძლო ღირებულების თაობაზე ექსპერტების მიერ გამოთქმული მოსაზრებების საფუძველზე.

2.3.4. ეროვნული სამოქმედო გეგმის სტრუქტურა

გეგმა შედგება 7 ამოცანისა და 20 ქვეამოცანისგან, რომელთა შესრულებაც აუცილებელია “შორ მანძილზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) სამი ოქმით ქვეენისთვის განსაზღვრული ვალდებულებების შესასრულებლად. ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების ვადები (2014-2022 წლები) განისაზღვრა უპირველეს ყოვლისა სამივე ოქმის რატიფიკაციის წლისა (2019 წლის ბოლო) და ოქმების ტექსტებში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებისთვის საჭირო ვადების გათვალისწინებით (იხ. დანართი 1. ეროვნული სამოქმედო გეგმაში გაწერილი ქმედებების განხორციელებისთვის საჭირო ვადების განტის დიაგრამა).

ოქმების თითოეული მოთხოვნის შესასრულებლად ქვეყანამ უნდა განახორციელოს ერთი ან მეტი ქმედება. ცალკეული, უფრო კომპლექსური მოთხოვნების შესრულება შესაძლებელია სპეციალური პროექტების განხორციელების გზით. გარდა ამისა, გეგმის განხორციელებისათვის საჭირო საკმაოდ დიდი პერიოდის გათვალისწინებით (10 წელზე მეტი) გეგმის ცალკეული ელემენტები განისაზღვრა ისეთნაირად, რომ გეგმის განხორციელების შემდგომ ეტაპებზე შესაძლებელი იყოს ამოცანების თავიდან შეფასება და შესაბამისი ქმედებების დასახვა. ამის საშუალებით შესაძლებელი ხდება ცალკეული ქმედებების მაქსიმალურად ეფექტურად განსაზღვრა იმ დროისთვის არსებული ეროვნული და საერთაშორისო მდგომარეობის, გამოცდილებისა და ინფორმაციის გათვალისწინებით და იმ უზუსტობების მინიმუმამდე შემცირება, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს ამ ეტაპზე მიღებულ გადაწყვეტილებებს.

მოთხოვნები შეიძლება დაიყოს შვიდ ჯგუფად ძირითადი სახეების მიხედვით. წინამდებარე თავში მოთხოვნები დაჯგუფებულია შემდეგნაირად:

1. სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება და მიღება;
2. ემისიების ინვენტარიზაციის და ემისიების პროგნოზირების სისტემების შემუშავება და რეგულარული ანგარიშგება კონვენციის სამდივნოსთან;
3. სამართლებრივი აქტების შემუშავება და ინტეგრირება;
4. ინტეგრირებული (კომპლექსური) სანებართვო სისტემის შემოღება;
5. ემისიების შემცირებისკენ მიმართული ზომების შემუშავება და მიღება;
6. ჰაერის ხარისხის მონიტორინგი;
7. ინფორმაციის გავრცელება.

თითოეული მოთხოვნისთვის მოცემულია შემდეგი ინფორმაცია:

- მითითება ოქმებში განსაზღვრულ ამა თუ იმ მოთხოვნაზე;
- თითოეული მოთხოვნის შესრულებისთვის საჭირო პრინციპების მოკლე აღწერა;
- თითოეული მოთხოვნის შესრულებისთვის საჭირო ძირითადი ქმედებების მოკლე აღწერა;
- პასუხისმგებელი აღმასრულებელი უწყება (უწყებები);
- ქმედებების განხორციელებისათვის საჭირო სახსრები;
- განხორციელების ვადები;
- დამატებითი შენიშვნები (საჭიროების შემთხვევაში).

3. ეროვნული სამოქმედო გეგმა

3.1. მიზნები და ამოცანები

საქართველო, როგორც “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) მხარე, ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს კონვენციის ძირითადი მიზნის მიღწევაში, ანუ, შეზღუდოს, ან შესაძლებლობის ფარგლებში თანდათანობით შეამციროს და აიცილოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების ჩათვლით. ამ მიზნის მიღწევის საუკეთესო გზაა კონვენციის შემდეგი ოქმების რატიფიკაცია ან მათთან მიერთება და მათი მოთხოვნების შესრულება:

- 1998 წლის ორჰუსის ოქმი “შიმე ლითონების შესახებ”;
- 1998 წლის ორჰუსის ოქმი “მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ”;
- 1999 წლის გოტებორგის ოქმი “შემჟავიანების, ეუტროფიკაციის და მიწისპირა ოზონის შემცირების შესახებ”.

აქედან გამომდინარე, საქართველო მიზნად ისახავს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას 2019 წლის ბოლოსთვის აღნიშნული სამი ოქმის რატიფიცირების საშუალებით.

აღნიშნული სამი ოქმის რატიფიკაციისთვის აუცილებელია ემისიების შემცირებისკენ მიმართული სხვადასხვა სამართლებრივი და ადმინისტრაციული ზომების გატარება, ემისიების დეტალური მონიტორინგის განხორციელება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირების, ანუ კონვენციის მთავარი მიზნების მისაღწევად. საქართველო მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ოქმების მოთხოვნებს.

აქედან გამომდინარე, წინამდებარე ეროვნული სამოქმედო გეგმის ამოცანაა მოამზადოს საქართველო “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) სამი ოქმის რატიფიკაციისთვის, ოქმების მოთხოვნების დაკმაყოფილებისა და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ოქმების მოთხოვნების დაკმაყოფილება არა მარტო დაეხმარება საქართველოს მის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებაში, არამედ ქვეყანას მოუტანს სარგებლების რიგს, რომელიც თან ახლავს “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციას. ერთ-ერთი უმთავრესი სარგებელია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირებისა და ჰაერის ხარისხის ამაღლების შედეგად. გოტებორგის ოქმის მოთხოვნების შესრულების შედეგად ჰაერის დამაბინძურებლების ემისიების შემცირება შეიძლება გამოისახოს, როგორც საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის არიდებული ზიანის ღირებულება. 2030 წლისთვის ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების შედეგად აცილებელი ხარჯების სიდიდე შეადგენს 1800-5000 მილიონ ევროს (სიდიდე დამოკიდებულია შეფასების მეთოდოლოგიაზე). გარდა ამისა, არსებობს რიგი ხარისხობრივი სარგებლებისა, რომლებიც მიიღება “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციის, მათი მოთხოვნების შესრულებისა და ატმოსფერული ჰაერის

ხარისხის გაუმჯობესების შედეგად და რომელთა ზუსტი რაოდენობრივი შეფასება და მონეტარიზაცია ამ ეტაპზე შეუძლებელია. ესენია:

- *ქვეყნის რეპუტაციისა და ინვესტორებისთვის მისი მიმზიდველობის ზრდა.* “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციისა და ჰაერის დაბინძურების შემდგომი შემცირების შედეგად ქვეყანა უფრო მიმზიდველი გახდება ინვესტორებისთვის და გაუმჯობესდება მისი რეპუტაცია. ოქმების უფრო ადრე ვადებში რატიფიკაცია ქვეყნის რეპუტაციისათვის უფრო ხელსაყრელია.
- *ეროვნული ეკონომიკის გაზრდილი კონკურენტუნარიანობა.* ახალი, თანამედროვე და ნაკლებად დამაბინძურებელი ტექნოლოგიების დანერგვით ადგილობრივი სამრეწველო სექტორი უფრო კონკურენტუნარიანი გახდება საერთაშორისო ბაზრებზე.
- *გარემოს ხარისხის გაუმჯობესება.* ჰაერის დაბინძურების შემცირების შედეგად გაუმჯობესდება გარემოს ისეთი სხვადასხვა ელემენტების ხარისხი, როგორცაა წყალი (სასმელი წყლის ჩათვლით), საბინადრო ადგილების მდგომარეობა, ნიადაგი, რასაც შედეგად მოჰყვება ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და ტურიზმის განვითარება.
- *სახელმწიფო მმართველობის მიმართ დამოკიდებულების გაუმჯობესება.* გარემოს მდგომარეობა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა წარმოადგენენ იმ მნიშვნელოვან ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოების დამოკიდებულებას სახელმწიფო მმართველობის მიმართ - მის მოწონებას თუ არმოწონებას. ჰაერის დაბინძურების შემცირების შედეგად გაიზრდება საზოგადოების კმაყოფილება ცხოვრების პირობებითა და სახელმწიფო მმართველობით.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ოქმების მოთხოვნების შესრულება დაკავშირებულია ორი სახის ხარჯებთან. ესენია: ადმინისტრაციული ხარჯები, რომელსაც ფარავს სახელმწიფო ბიუჯეტი ან სხვა გარე წყარო; და საზოგადოებისა და ეროვნული ეკონომიკის ხარჯები. ოქმების რატიფიკაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯებია: ფინანსური ინვესტიციები, დამატებითი კადრები გარემოსდაცვითი დაწესებულებებისთვის, კომპიუტერული ტექნიკა და პროგრამები, საკონსულტაციო მომსახურება, კვლევები, სწავლება, აღჭურვილობის შენახვა და რემონტი, და სხვა. შესაძლო ადმინისტრაციული ხარჯი გამოთვლილია ეროვნული სამოქმედო გეგმის თითოეული ქმედებისათვის და წარმოდგენილია შემდეგ ქვეთავში. საზოგადოებისა და ეროვნული ეკონომიკის ხარჯები მოიცავს ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სამრეწველო სექტორში ახალი, დაბალი ემისიების მქონე ტექნოლოგიების დანერგვასთან, ავტოპარკის მოდერნიზაციასთან, ნებართვებთან დაკავშირებული დამატებითი მოთხოვნების შესრულებასთან და ა.შ. წინასწარი გათვლებით, 2019 წლის ბოლოსთვის “შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციის შემთხვევაში საზოგადოებისა და ეროვნული ეკონომიკის ხარჯები 2030 წლისთვის გადააჭარბებს 150 მილიონ ევროს. თუმცა, ხარჯისა და მოგების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ოქმების რატიფიკაციით მიღებული სარგებელი სრულად დააკომპენსირებს აღნიშნულ ხარჯებს.

3.2. ამოცანები, ქვეამოცანები და ქმედებები

ამოცანა 1: სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება და დამტკიცება

ქვეამოცანა 1.1. ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავება და დამტკიცება

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი², ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ³, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ⁴):

- თითოეული მხარე, საჭიროების შემთხვევაში და მყარი სამეცნიერო და ეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე, ვალდებულია დაამტკიცოს დამხმარე სტრატეგიები, პოლიტიკა და პროგრამები ემისიების შემცირებასთან დაკავშირებული უმთავრესი ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით.

“შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) მთავარი მიზნის მიღწევის უზრუნველსაყოფად, რომელიც მდგომარეობს ჰაერში დამაბინძურებლების გაშვებასთან ბრძოლაში, ქვეყანამ ეფექტურად და წარმატებულად უნდა განახორციელოს მთელი რიგი ქმედებებისა. ამისათვის აუცილებელია კონკრეტული ეროვნული სტრატეგიული დოკუმენტების მიღება. სამივე ოქმის ეს მოთხოვნა შესრულდება წინამდებარე ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავების, დამტკიცებისა და განხორციელების საშუალებით.

| | |
|----------------------------|--|
| დაფინანსების შესაძლო წყარო | მიმდინარე ხარჯები |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით), მთავრობა |
| ხარჯები (ევრო) | არ მოითხოვს დამატებით ხარჯებს (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმდინარე ხარჯები) |
| განხორციელების ვადები | I-2014-დან IV-2015-მდე (2 წელი) |

²გოტებორგის ოქმი: მუხლი 6, 1 (ა)

³ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 7, 1

⁴ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 5, 1

ამოცანა 2: ემისიების ინვენტარიზაციის და ემისიების პროგნოზირების სისტემების შემუშავება და რეგულარული ანგარიშგება კონვენციის სამდივნოსთან

ქვეამოცანა 2.1. ემისიების ინვენტარიზაციის სისტემის შექმნა (ოქმი მძიმე ლითონების შესახებ, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ, გოტებორგის ოქმი)

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი⁵, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ⁶, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ⁷):

- *თითოეული მხარე ვალდებულია შეიმუშაოს შესაბამისი დამაბინძურებლების ემისიების ინვენტარიზაციის სისტემა (და პროგნოზირების სისტემა გოტებორგის ოქმის შემთხვევაში) კონკრეტულ სახელმძღვანელოებში მითითებული მეთოდოლოგიების საფუძველზე.*

ქვეყნის მიერ წარმოქმნილი ემისიების კონტროლისა და მომავალში ემისიების შემცირების მიზნობრივი ზომების დაგეგმვისათვის აუცილებელია დეტალური ინფორმაციის ქონა სამივე ოქმით განსაზღვრული დამაბინძურებლების წლიური ემისიებისა და ემისიების ტენდენციების შესახებ. გარდა ამისა, ოქმების რატიფიკაციის მომენტისთვის განსაზღვრული საბაზისო წლის ემისიის დონის დასადგენად აუცილებელია ინფორმაციის მოპოვება წინა წლებში არსებულ ემისიის დონეების შესახებ. ამისათვის აუცილებელია საქმიანობების მონაცემების შეგროვება და სხვადასხვა სექტორების მიხედვით ემისიების ძველი და არსებული დონეების გამოთვლა საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპებისა და მეთოდოლოგიების საფუძველზე.

ასეთი ამოცანის შესასრულებლად საჭიროა ისტორიული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება ეკონომიკის სხვადასხვა დარგების ემისიების დონეების შესახებ დიდი რაოდენობით წყაროებიდან, ექსპერტების მოსაზრებების გაზიარება და დაშვებების გაკეთება (იმ შემთხვევებში, სადაც სანდო სტატისტიკური მონაცემები არ არსებობს). აქედან გამომდინარე, ითვლება, რომ ამ მოთხოვნის შესრულების საუკეთესო გზაა ისეთი შედარებით დიდი პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს ემისიების დეტალური ინვენტარიზაციის სისტემის შექმნას.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 2.1. | ისეთი კვლევის ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავს ემისიების დეტალური ინვენტარიზაციის სისტემის შექმნას, ემისიების ძველი და არსებული დონეების შესახებ ინფორმაციის მოპოვების ჩათვლით, ოქმებში განსაზღვრული მეთოდოლოგიების საფუძველზე. |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (მნიშვნელოვანია მოთხოვნის შესასრულებლად) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (კოორდინატორი) სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან, სოფლის მეურნეობის |

⁵გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 11

⁶ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 3, 8

⁷ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 5

| | |
|-----------------------|--|
| | სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით |
| ხარჯები (ევრო) | 100 000 |
| განხორციელების ვადები | III-2014-დან IV-2015-მდე (1.5 წელი) |

ქვეამოცანა 2.2. ემისიების პროგნოზირების სისტემის შექმნა

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი⁸):

- *თითოეული მხარე ვალდებულია შეიმუშაოს ემისიების პროგნოზირების სისტემა ძირითადი დამაბინძურებლების ემისიებისათვის სახელმძღვანელოებში განსაზღვრული მეთოდოლოგიების საფუძველზე.*

გოტებორგის ოქმის თითოეული მხარე განსაზღვრავს ემისიების შემცირების კუთხით აღებულ ვალდებულებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს ოქმით განსაზღვრული წლის ბოლომდე. ემისიების შესაძლო შემცირების იმ ვალდებულებების შესაფასებლად, რომელთა აღებაც ქვეყანას შეუძლია, აუცილებელია მოსალოდნელი ემისიების მოცულობების პროგნოზირება. გარდა ამისა, კონვენციის მხარეებს შეეშავებული აქვთ ემისიების პროგნოზირების სისტემები და ახორციელებენ მონაცემების რეგულარულ განახლებას, რათა განსაზღვრონ, შესაძლებელია თუ არა აღებული ვალდებულებების შესრულება ემისიების შემცირების უკვე განხორციელებული ზომებით, თუ საჭიროა დამატებითი ზომების მიღება.

ემისიების პროგნოზირებისათვის აუცილებელია ინფორმაციის მიღება ემისიების წარმომქმნელ ისეთ დარგებში, როგორცაა ენერგეტიკა, მრეწველობა, ტრანსპორტი და სოფლის მეურნეობა, მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ. ამის გამო ემისიების პროგნოზირება საკმაოდ რთული ამოცანაა, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ერთობლივ ძალისხმევას. აქედან გამომდინარე, აღნიშნული მოთხოვნის შესრულების საუკეთესო გზაა ისეთი კონკრეტული პროექტის განხორციელება, რომელიც მოითხოვს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების კოორდინირებულ მუშაობას.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 2.2. | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია ჩარჩოს შექმნა ემისიების პროგნოზირების სისტემის ჩამოყალიბებისათვის |
| ქმედება 2.2.1. | ემისიების პროგნოზირების სისტემის მეთოდოლოგიური და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნა |
| ქმედება 2.2.2. | სახელმწიფო უწყებების პოტენციალის ამაღლება შესაბამისი უწყებებისთვის ტრენინგების ორგანიზების გზით |
| ქმედება 2.2.3. | ემისიების პროგნოზირება გარკვეული პერიოდისთვის |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (ან სახელმწიფო ბიუჯეტი) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (კოორდინატორი) შესაბამის უწყებებთან, მათ შორის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან თანამშრომლობით |
| ხარჯები (ევრო) | 50 000 (ან ნაკლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში) |
| განხორციელების ვადები | I-2016-დან IV-2016-მდე (1წელი) |

⁸გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 11

ქვემოცანა 2.3. ემისიების ინვენტარიზაციის და ემისიების პროგნოზირების წარმოება და ანგარიშგება კონვენციის აღმასრულებელ ორგანოსთან/EMEP

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი⁹, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ¹⁰, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ¹¹):

- თითოეული მხარე ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი დამაბინძურებლების ემისიების ინვენტარიზაცია (და პროგნოზირება გოტებორგის ოქმის შემთხვევაში) კონკრეტულ სახელმძღვანელოებში მოცემული მეთოდოლოგიების საფუძველზე და აღნიშნული ინფორმაცია ყოველწლიურად წარუდგინოს კონვენციის აღმასრულებელ ორგანოს/EMEP.

“შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ” კონვენციის (CLRTAP) მხარეები ვალდებული არიან შეაგროვონ ინფორმაცია ემისიების არსებულ და პროგნოზირებულ დონეებზე და საქმიანობების შესახებ და მოამზადონ ემისიების გაანგარიშების პროცესში გამოყენებული მონაცემების წყაროებისა და მეთოდოლოგიების დეტალური აღწერა. ამისათვის აუცილებელია მონაცემების მოპოვება იმ სახელმწიფო უწყებებიდან, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას ემისიების წარმომქმნელი ძირითადი დარგების: ენერჯეტიკის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის შესახებ. აღნიშნული პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია ეფექტური მეთოდოლოგიური, სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს შექმნა. ასეთი ჩარჩო შეიძლება შეიქმნას კონკრეტული პროექტების ფარგლებში, რომლებიც მიზნად დაისახავენ ეროვნული ორგანიზაციების სამართლებრივი, ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერებას.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 2.3ა | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება სამართლებრივი, ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად ემისიების შესახებ წლიური ანგარიშების მოსამზადებლად |
| ქმედება 2.3ა.1 | ემისიების ინვენტარიზაციის წარმოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული ჩარჩოს შექმნა არსებული მდგომარეობის შეფასების საფუძველზე |
| ქმედება 2.3ა.2 | სახელმწიფო უწყებების პოტენციალის ამაღლება შესაბამისი უწყებებისთვის ტრენინგების ორგანიზების გზით |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (ან სახელმწიფო ბიუჯეტი) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (შესაბამი უწყებებთან თანამშრომლობით) |
| ხარჯები (ევრო) | 50 000 (ან ნაკლები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსების შემთხვევაში) |
| განხორციელების ვადები | I-2016-დან IV-2017-მდე (2 წელი) |

⁹გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 11
¹⁰ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 3, 8
¹¹ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 5

იმის გათვალისწინებით, რომ ემისიების დეტალური ინვენტარიზაციის ჩატარება და კონვენციისთვის ანგარიშების მომზადება საკმაოდ დიდ დროს მოითხოვს, ხოლო ატმოსფერული ჰაერის მართვის სფეროში მომუშავე სახელმწიფო გარემოსდაცვითი ორგანიზაციები განიცდიან კადრების სიმცირეს, ამ მოთხოვნის შესასრულებლად აუცილებელია სახელმწიფო უწყებების უზრუნველყოფა სათანადო კადრებით.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 2.3ბ | ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფა – 1 დამატებითი თანამშრომელი |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მოთხოვნით) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 22 000 წელიწადში |
| განხორციელების ვადები | III-2015-დან II-2016-მდე (1 წელი) |

ამოცანა 3: სამართლებრივი აქტების შემუშავება და ინტეგრაცია

ქვეამოცანა 3.1. ემისიების შემცირების ეროვნული მიზნების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი¹²):

- თითოეული მხარე, რომელსაც განსაზღვრული აქვს ემისიის შემცირების ვალდებულება დანართი II-ის შესაბამისად, ვალდებულია შეამციროს ემისიები და შეინარჩუნოს წლიური ემისიების კლება აღნიშნულ დანართში განსაზღვრული ვალდებულებისა და გრაფიკის მიხედვით.

აღნიშნული მოთხოვნა წარმოადგენს ოქმის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს. გოტებორგის ოქმის თითოეული მხარე განსაზღვრავს ემისიების შემცირების კუთხით აღებულ ვალდებულებებს (რომლებიც ასევე ცნობილია, როგორც ემისიების ზედა ზღვრები), რომლებიც უნდა შესრულდეს ოქმით განსაზღვრული წლის ბოლომდე. ეს ვალდებულებები წარმოადგენენ მთავარ სამართლებრივ მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს მხარეების მიერ ემისიების შემცირებისკენ მიმართული ზომების მიღებას, მათ შორის, ოქმში განსაზღვრული ტექნიკური მოთხოვნების შესრულებას. ემისიების შემცირების ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ინტეგრირების, და, შესაბამისად, ეროვნულ დონეზე მათთვის სავალდებულო ხასიათის მიცემის მიზნით ოქმის მხარეს უფლება აქვს შეიმუშაოს კონკრეტული სამართლებრივი ინსტრუმენტი. ასეთი დოკუმენტი მკაფიოდ უნდა განმარტავდეს ემისიის შემცირების კუთხით ქვეყნის მიერ აღებულ ვალდებულებებს და წარმოადგენდეს ერთ-ერთ ძირითად პოლიტიკურ და სამართლებრივ მამოძრავებელ ძალას ქვემდებარე სტრატეგიებისა და ზომების აღსრულების საქმეში.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 3.1. | ემისიების ზედა ზღვრების/ემისიების შემცირების ვალდებულებების ინტეგრირება ეროვნულ კანონმდებლობაში |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 5 000 |
| განხორციელების ვადები | I-2019-დან IV-2019-მდე (1 წელი) |

¹²გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 1

ქვემოცანა 3.2. საწვავის ხარისხის სტანდარტების ჰარმონიზაცია ოქმების მოთხოვნებთან

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი¹³, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ¹⁴):

- *თითოეული მხარე ვალდებულია შეიმუშაოს სამართლებრივი აქტები, რომელთა საშუალებითაც საგზაო ტრანსპორტის საწვავის სტანდარტები შესაბამისობაში მოვა ოქმში განსაზღვრულ სტანდარტებთან.*

გოტებორგის ოქმი და ოქმი მძიმე ლითონების შესახებ აწესებენ კონკრეტულ მოთხოვნებს საგზაო ტრანსპორტის საწვავის ხარისხის მიმართ. საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში უკვე არსებობს მოთხოვნები, რომლებიც ზღუდავენ ბენზინში ტყვიის შემცველობას, რითიც სრულდება მძიმე ლითონების შესახებ ოქმის მოთხოვნები. სტანდარტები, რომლებიც არეგულირებენ საწვავში გოგირდის შემცველობას, არ არის თავსებადი გოტებორგის ოქმის მოთხოვნებთან. გარდა ამისა, სხვა მოთხოვნები საწვავის ხარისხის მიმართ, როგორცაა: ოქტანური რიცხვი, სიმკვრივე, დისტილაციის წერტილი, პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები, ინტეგრირებულ უნდა იქნეს ეროვნული სტანდარტების სისტემაში. მოთხოვნების სრულად შესასრულებლად აუცილებელია საწვავის ხარისხის არსებულ სტანდარტებში შესატანი ცვლილებების შემუშავება და განხორციელება.

| | |
|----------------------------|--|
| ქმელება 3.2. | პროდუქციის არსებულ სტანდარტებში შესატანი ცვლილებების შემუშავება და განხორციელება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | მიმდინარე ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 2 500 |
| განხორციელების ვადები | II-2014-დან IV-2015-მდე (1.5 წელი) |

¹³გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 5 და დანართი VIII

¹⁴ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 3 და დანართი VI

ქვემოცანა 3.3. მანგანუმის ტუტე ბატარეებში ვერცხლისწყლის შემცველობის შემზღვეველი სამართლებრივი აქტის შემუშავება

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (ოქმი მძიმე ლითონების შესახებ¹⁵):

- *თითოეული მხარე ვალდებულია შეიმუშაოს მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ვერცხლისწყლის მაქსიმალურ კონცენტრაციებს მანგანუმის ტუტე ბატარეებში.*

ოქმი მძიმე ლითონების შესახებ მხარეებისგან მოითხოვს მანგანუმის ტუტე ბატარეებში ვერცხლისწყლის შემცველობა არ აჭარბებდეს გარკვეულ სიდიდებს. ამისათვის აუცილებელის კონკრეტული მარეგულირებელი აქტების მიღება.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 3.3. | ისეთი საკანონმდებლო აქტის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს ვერცხლისწყლის მაქსიმალურ კონცენტრაციებს მანგანუმის ტუტე ბატარეებში |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 2 500 |
| განხორციელების ვადები | I-2019-დან IV-2019-მდე (1 წელი) |

¹⁵ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 3 და დანართი VI

ქვემოცანა 3.4. მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (POPs) მაკონტროლებელი კანონმდებლობის სრულყოფა გოტებორგის ოქმითა და სტოკჰოლმის კონვენციით განსაზღვრული დამაბინძურებლების გათვალისწინებით

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ (POPs)¹⁶):

- დანართი I-ში ჩამოთვლილი ნივთიერებების გამოყენებისა და წარმოების აკრძალვა და დანართი II-ში ჩამოთვლილი ნივთიერებების შეზღუდვა

მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შესახებ ოქმის მთავარი მოთხოვნებია მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების შემცველი გარკვეული ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვა და, შესაბამისად, ამგვარი მავნე ნივთიერებების გამოყენებით ატმოსფეროში მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების ემისიების შემცირება.

ამჟამად საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც ზღუდავს გოტებორგის ოქმითა და სტოკჰოლმის კონვენციით განსაზღვრული მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების გამოყენებას. გოტებორგის ოქმისა და სტოკჰოლმის კონვენციის მოთხოვნების შესასრულებლად აუცილებელია გარკვეული სახის მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების გამოყენების ამკრძალავი ან შემზღუდავი ახალი ან დამატებითი საკანონმდებლო აქტების მიღება.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 3.4. | გარკვეული სახის მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების გამოყენების ამკრძალავი და შემზღუდავი საკანონმდებლო აქტების შემუშავება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (კოორდინატორი) სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან თანამშრომლობით |
| ხარჯები (ევრო) | 2 500 |
| განხორციელების ვადები | III-2014-დან II-2015-მდე (1 წელი) |

¹⁶ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 3, 1-3

ქვეამოცანა 3.5. მობილური წყაროებისთვის ემისიების ზღვრული სიდიდეების შემუშავება და დაწესება

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი¹⁷):

- თითოეული მხარე ვალდებულია დააწესოს დანართი VIII-ში მოცემული ემისიების ზღვრული სიდიდეები ახალი მობილური წყაროებისთვის.

მობილური წყაროებიდან (როგორც საგზაო, ასევე არასაგზაო) წარმოქმნილ ემისიებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ატმოსფერულ ემისიებში მსოფლიო მასშტაბით. აქედან გამომდინარე, მობილური წყაროებისთვის ემისიების ზღვრული სიდიდეების დაწესება ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც ცალკეული, ძირითადად, ურბანული ტერიტორიების, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისთვის, ასევე, ზოგადად, ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შემცირებისთვის. საგზაო ტრანსპორტის ემისიების ზღვრული სიდიდეები ინტეგრირებულია ევროკავშირის რეგულაციაში ემისიების საფუძველზე ავტომობილების ამა თუ იმ სახეობის დაშვების შესახებ. აღნიშნული რეგულაცია ცნობილია ავტომობილების ემისიების **EURO** სტანდარტის სახელით.

იმ მხარეებს, რომლებიც მიუერთდებიან გოტებორგის ოქმს 2019 წლის 31 დეკემბრამდე, შეუძლიათ გადადონ მობილური წყაროებისთვის ემისიების ზღვრული სიდიდეების შემოღება რატიფიკაციიდან 5 წლამდე ვადით (1 წლით იმ შემთხვევაში, თუ არ მოქმედებს მოქნილი მექანიზმი). თუმცა, ემისიების მთლიან დონეებში სატრანსპორტო სექტორის ემისიების დიდი წვლილის გათვალისწინებით, აუცილებელია ემისიების შემზღუდავი ზომების რაც შეიძლება სწრაფად მიღება. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის დიდი წნეხი სააზოგადოებაზე, რომელიც შესაძლოა თან ახლდეს ასეთი ზომების მიღებას. ამიტომ, აუცილებელია საავტომობილო პარკის ასაკის კუთხით ქვეყანაში არსებული მდგომარეობის გათვალისწინება გარდამავალი პერიოდისთვის საჭირო რეგულაციების შესამუშავებლად.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 3.5. | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება მობილური წყაროებისთვის ემისიების ზღვრული სიდიდეების დაწესების ყველაზე ოპტიმალური და ეფექტური პოლიტიკის შემუშავება |
| ქმედება 3.5.1 | არსებული მდგომარეობის შეფასება |
| ქმედება 3.5.2 | სამართლებრივი აქტების შემუშავება/არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 10 000 |
| განხორციელების ვადები | I-2017-დან IV-2018-მდე (2 წელი) |

¹⁷გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 5 და დანართი VIII

ამოცანა 4: ინტეგრირებული ნებართვების გაცემის სისტემის შემოღება

ქვეამოცანა 4.1. ემისიების ზღვრული სიდიდეებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დანერგვა

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი¹⁸, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ¹⁹, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ²⁰):

- *თითოეული მხარე ვალდებულია ყოველი ახალი სტაციონარული წყაროსთვის დააწესოს სტაციონარული წყაროების შესაბამისი კატეგორიისათვის განსაზღვრული ემისიების ზღვრული სიდიდეები ხარჯისა და სარგებლის გათვალისწინებით იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტექნიკურად და ეკონომიკურად განცხორციელებადია, ხოლო ყოველი არსებული სტაციონარული წყაროსთვის - სტაციონარული წყაროების შესაბამისი კატეგორიისათვის განსაზღვრული ემისიების ზღვრული სიდიდეები ოქმის მიერ დადგენილ ვადებში*

სამივე ოქმი ავალდებულებს მხარეებს დააწესონ ემისიების ზღვრული სიდიდეები კონკრეტული სტაციონარული წყაროებისთვის რატიფიკაციიდან ერთი (გოტებორგის ოქმის შემთხვევაში) და ორი (მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ ოქმისა და მძიმე ლითონების შესახებ ოქმის შემთხვევაში) შემდეგ, ხოლო არსებული წყაროებისთვის – თითოეული ოქმით განსაზღვრულ ვადებში. გარდა ამისა, სამივე ოქმი ავალდებულებს ქვეყნებს დანერგონ და განახორციელონ “საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების პრინციპი” (BAT), რომელიც ნიშნავს “საქმიანობებისა და საქმიანობების პროცესში გამოყენებული მეთოდების ყველაზე ეფექტურ და განვითარებულ ეტაპს, რომლის საფუძველზეც დგინდება ემისიების ზღვრული სიდიდეები ემისიების თავიდან აცილების, და, სადაც ეს შეუძლებელია – ემისიებისა და გარემოზე მათი ზემოქმედების შემცირების მიზნით”.

ემისიების ზღვრული სიდიდეებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების გამოყენება მჭიდროდ არის დაკავშირებული გარემოსდაცვითი ნებართვების სისტემასთან. გარემოსდაცვითი ნებართვების სისტემა წარმოადგენს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებულ მთავარ მექანიზმს ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლების მიერ მსგავსი რეგულაციების შესრულების უზრუნველსაყოფად. როგორც საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების განმარტებიდან ჩანს, პრინციპი ეხება ზოგადად გარემოზე, მათ შორის, ჰაერზე, წყალზე, ნიადაგზე, ნარჩენების წარმოქმნაზე, ენერგოეფექტურობაზე და სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე, ზემოქმედებას. აქედან გამომდინარე, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების პრინციპები ყველაზე ახლოს არის ე.წ. “ინტეგრირებული ნებართვების სისტემებთან”, რომლებიც ითვალისწინებენ კონკრეტული ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლის საქმიანობის გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების მთლიან კომპლექსს.

ამიტომ, ემისიების ზღვრული სიდიდეებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების წარმატებით დასანერგად და გარემოზე მათი გრძელვადიანი

¹⁸გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 2 და დანართები IV, V, VI და X; მუხლი 3, 6; მუხლი 3, 8 (ბ)

¹⁹ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 3, 5 (ბ)(i) და (ii) და დანართი V და დანართი IV

²⁰ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 2 (ა) და (ბ) და დანართი III და დანართი V

დადებითი ზემოქმედების უზრუნველსაყოფად აუცილებელია საქართველოში ინტეგრირებული ნებართვების სისტემის დანერგვა ემისიების ახალი ზღვრული სიდიდეების ჩათვლით. ეს გამოიწვევს ამჟამად მოქმედი სისტემის მნიშვნელოვან ცვლილებას და დასჭირდება სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების დიდი ძალისხმევა.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 4.1ა | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ინტეგრირებული ნებართვების გაცემის სისტემის შემუშავება და შემოღება |
| ქმედება 4.1ა.1 | არსებული მდგომარეობის შეფასება |
| ქმედება 4.1ა.2 | სამართლებრივი აქტების შემუშავება/ ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში |
| ქმედება 4.1ა.3 | სახელმწიფო უწყებებისა და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლების შესაძლებლობების გაზრდა |
| ქმედება 4.1ა.4 | აუცილებელი ტექნიკური და ტექნოლოგიური შესაძლებლობების უზრუნველყოფა |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (ან სახელმწიფო ბიუჯეტი) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 2 000 000 (ან ნაკლები, თუ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) |
| განხორციელების ვადები | I-2017-დან IV-2019-მდე (3 წელი) |

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ინტეგრირებული ნებართვების გაცემის სისტემამ დანერგვის შემდეგ შეუფერხებლად იმუშაოს და ჰქონდეს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე ცვლილებების ასახვის შესაძლებლობა. ამიტომ აუცილებელია სისტემის განხორციელების მონიტორინგი მისი შემდგომი სრულყოფის გათვალისწინებით. სრულყოფაში იგულისხმება შესაბამისი უწყებების დამატებითი ტრენინგი და ტექნიკური საშუალებების მოდერნიზაცია.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 4.1ბ | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ინტეგრირებული ნებართვების დანერგული სისტემის ეფექტურობის მონიტორინგი |
| ქმედება 4.1ბ.1 | არსებული მდგომარეობის შეფასება, განხორციელებული სისტემის მონიტორინგი |
| ქმედება 4.1ბ.2 | ტექნიკური პოტენციალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა |
| ქმედება 4.1ბ.3 | სახელმწიფო უწყებებისა და ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებლების შესაძლებლობების გაზრდა |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (ან სახელმწიფო ბიუჯეტი) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 150 000 (ან ნაკლები, თუ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) |

ქვემოცანა 4.2. ტექნოლოგიების გაცვლა-გამოცვლისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების (BAT) შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაზრდა

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი²¹, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ²², ოქმი მძიმე ლითონების შესახებ²³):

- თითოეულმა მხარემ საკუთარი კანონების, მარეგულირებელი აქტებისა და პრაქტიკით განსაზღვრული წესებით და წინამდებარე ოქმით განსაზღვრული ვალდებულებების შესაბამისად უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები ინფორმაციის, ტექნოლოგიებისა და მეთოდების გაცვლა-გამოცვლისათვის გოვირდის, აზოტის ოქსიდების, ამიაკის, აქროლადი ორგანული ნაერთებისა და მყარი ნაწილაკების, მათ შორის შავი ნახშირბადის, შემცირების, საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა და ტექნიკური დახმარების აღმოჩენის მიზნით.

საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების ეფექტურად ინტეგრირების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ჰაერის დამაბინძურებლების ემისიების შემცირების ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისთვის საჭირო ჩარჩოს შექმნა. საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების დეტალური მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება მოითხოვს დიდ ინვესტიციებს და სხვადასხვა სამრეწველო დარგებისა და ემისიების სიღრმისეულ ცოდნას. ამიტომ, საქართველოთვის ასეთი მონაცემთა ბაზის შექმნა და წარმოება მიზანშეწონილი არ არის. სანაცვლოდ შეიძლება შეიქმნას სისტემა, რომელიც დაინტერესებულ ეკონომიკურ აგენტებს და/ან სახელმწიფო გარემოსდაცვით უწყებებს მისცემს საშუალებას მოიძიონ ინფორმაცია გარემოსდაცვითი თვალსაზრისით უსაფრთხო უახლესი ტექნოლოგიური მიღწევების შესახებ სხვადასხვა საინფორმაციო წყაროებიდან (როგორცაა დაბინძურების ინტერაქტიული პრევენციისა და კონტროლის ევროპის ბიუროს (European IPPC Bureau²⁴) მიერ შექმნილი სახელმძღვანელო საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების შესახებ) მშობლიურ ენაზე.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 4.2 | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ინფორმაციის გავრცელება საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების პრინციპების შესახებ და ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ეროვნული ჩარჩოს ჩამოყალიბება |
| ქმედება 4.2.1 | საინფორმაციო კამპანიის ჩატარება სუფთა ტექნოლოგიებისა და საუკეთესო ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების თემაზე |
| ქმედება 4.2.2 | ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის ჩარჩოს/ცენტრის ჩამოყალიბება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი |
| შემსრულებელი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების |

²¹გოტებორგის ოქმი: მუხლი 4, 1
²²ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 5, 1
²³ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 4, 1
²⁴<http://eippcb.jrc.ec.europa.eu/about/>

| | |
|-----------------------|--|
| | სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 100 000 (დაზუსტდება რატიფიკაციის შემდეგ) |
| განხორციელების ვადები | I-2020-დან IV-2020-მდე (1 წელი) |

ამოცანა 5: ემისიების შემცირებისკენ მიმართული ზომების შემუშავება და შემოღება

ქვეამოცანა 5.1. აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიების შემცირებისკენ მიმართული ზომების შემუშავება

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი²⁵):

- თითოეული მხარე ვალდებულია დააწესოს პროდუქციაში აქროლადი ორგანული ნაერთების ზღვრული სიდიდეები და შემოიღოს ზომები ბენზინის შესახვისა და დისტრიბუციით გამოწვეული ემისიების მინიმუმამდე შესამცირებლად.

აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიების სტაციონარული წყაროებისთვის ემისიების ზღვრული სიდიდეების დაწესების გარდა, გოტებორგის ოქმი ადგენს კონკრეტულ მოთხოვნებს გარკვეულ პროდუქციაში აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველობისა და ბენზინის შენახვისა და დისტრიბუციის მიმართ.

გოტებორგის ოქმი მოუწოდებს მხარეებს ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების ფარგლებში და ხარჯებისა და სარგებლის გათვალისწინებით დააწესონ დანართი XI-ში განსაზღვრულ პროდუქტებში აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველობის ზღვრული სიდიდეები. აღნიშნულ დანართში ჩამოთვლილია სხვადასხვა საღებავები, ლაქები, საპოხი მასალები, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო სამუშაოებში, ავტომანქანების წარმოებისა და რემონტის პროცესში და ხის მასალის კონსერვანტები. აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად აუცილებელია შეფასდეს არსებული მდგომარეობა ამ პროდუქციის გამოყენებისა და მათში აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველობის კუთხით, ალტერნატიული პროდუქციის ხელმისაწვდომობა და რეგულაციების შემოღებით მიღწეული ემისიების შემცირების შესაძლებლობა. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება ასეთი ზომების აუცილებლობა, საჭირო იქნება სპეციალური სამართლებრივი დოკუმენტების შემუშავება და მიღება.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 5.1ა | ისეთი კვლევის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება გარკვეულ პროდუქციაში აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველობაზე კონტროლის დაწესებით აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიების შემცირების შესაძლებლობის შეფასება |
| ქმედება 5.1ა.1 | არსებული მდგომარეობის შეფასება |
| ქმედება 5.1ა.2 | აუცილებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (თუ განხორციელდა ქმედება 5.1ბ და 5.1გ-თან ერთად) ან სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 25 000 |
| განხორციელების ვადები | III-2017-დან II-2019-მდე (2 წელი) |

²⁵გოტებორგის ოქმი: მუხლი 3, 7 და დანართი XI;

ბენზინის შენახვა და დისტრიბუცია წარმოადგენს აქროლადი ორგანული ნაერთების მნიშვნელოვან წყაროს იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება ასეთი ემისიების წინააღმდეგ სპეციალური ზომების გატარება. გოტებორგის ოქმის მხარეები ვადადებული არიან დანერგონ ისეთი ზომები და ტექნოლოგიები, როგორცაა მცურავი სახურავის მქონე ორკედლიანი ბენზინის შესანახი რეზერვუარები, აირის დამჭერი მოწყობილობები სტაციონარული სახურავის მქონე ბენზინის შესანახ რეზერვუარებზე, აირების კონტროლი ბენზინგასამართ სადგურებზე ბენზინით შევსების ოპერაციების დროს და ემისიების შესაბამის ზღვრულ სიდიდეებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა ქვეყანაში ბენზინის შენახვისა და ტრანსპორტირების პროცესში ტექნოლოგიური მიდგომების გამოყენების კუთხით არსებული მდგომარეობის შეფასება და აუცილებელი რეგულაციების შემუშავება ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 5.1B | ისეთი კვლევის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება ბენზინის შენახვისა და დისტრიბუციით აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიების შემცირებისკენ მიმართული სპეციალური ზომების შემოღების შესაძლებლობის შეფასება |
| ქმედება 5.1B.1 | არსებული მდგომარეობის შეფასება |
| ქმედება 5.1B.2 | აუცილებელი სამართლებრივი აქტების შემუშავება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (თუ განხორციელდა ქმედება 5.1ა და 5.1გ-თან ერთად) ან სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 25 000 |
| განხორციელების ვადები | III-2017-დან II-2019-მდე (2 წელი) |

აქროლადი ორგანული ნაერთების ემისიების მნიშვნელოვან წყაროს აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველი ნარჩენების მართვაც წარმოადგენს. ისეთი სპეციფიური ნარჩენები, როგორცაა გამოყენებული გამსხნელები, საღებავები, საფარი მასალები და ა.შ., შესაძლებელია ჩაითვალოს სახიფათო ნარჩენებად, რომლებთანაც აუცილებელია სიფრთხილე აქროლადი ორგანული ნაერთების შესაძლო ემისიების მინიმუმამდე შესამცირებლად.

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი²⁶):

- აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველი ნარჩენებისგან ემისიების შემცირების ზომების მიღება მათი რენტაბელობის შემთხვევაში

აღნიშნული საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს ნარჩენების მართვის არსებული სტრატეგიების კონტექსტში ან განხორციელდეს ცალკე ინიციატივის სახით.

| | |
|--------------|--|
| ქმედება 5.1გ | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება აქროლადი ორგანული ნაერთების შემცველი ნარჩენებისგან ემისიების |
|--------------|--|

²⁶გოტებორგის ოქმი: მუხლი 6, 1 (i)

| | |
|----------------------------|---|
| | შემცირების შესაძლო ვარიანტების შეფასება |
| ქმედება 5.1გ.1 | არსებული მდგომარეობის შეფასება |
| ქმედება 5.1გ.2 | სამართლებრივი აქტების შემუშავება/ ცვლილებების შეტანა მოქმედ კანონმდებლობაში |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (თუ ხორციელდება ქმედება 5.1ა და 5.1ბ-თან ერთად) ან სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 25 000 |
| განხორციელების ვადები | III-2017-დან II-2019-მდე (2 წელი) |

ქვეპროცანა 5.2. კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის ან ექვივალენტური დოკუმენტის შემუშავება და აღსრულება (NH3)

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი²⁷)

- წინამდებარე ოქმის ძალაში შესვლიდან 1 წლის ვადაში მხარე ვალდებულია გამოაქვეყნოს და გააერცვლოს კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის სარეკომენდაციო კოდექსი ამიაკის ემისიების შემცირების მიზნით.

გოტებორგის ოქმის ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელიც ეხება ამიაკის ემისიების შემცირებას სასოფლო-სამეურნეო სექტორიდან, მდგომარეობს კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის შემუშავებაში. ევროპაში ამ სახის დოკუმენტების მომზადება სავალდებულოა, ძირითადად, სოფლის მეურნეობიდან წყლის ობიექტების ნიტრატებით ძლიერი დაბინძურების გამო. თუმცა, ის პრინციპები, რომლებიც გამოიყენება ნიტრატებით წყლის დაბინძურების შესამცირებლად, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ატმოსფეროში ამიაკის ემისიების შესამცირებლადაც. ასეთი სახელმძღვანელოები შემუშავებულ უნდა იქნეს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახური და წყლის რესურსების მართვის სამსახური) მჭიდრო თანამშრომლობით. გარდა ამისა, აღნიშნული სახელმძღვანელოსათვის სამართლებრივი ჩარჩოს უზრუნველსაყოფად აუცილებელია კონკრეტული სამართლებრივი აქტების შემუშავება. საკითხში ჩართული დაინტერესებული მხარეების სიმრავლის გათვალისწინებით, გოტებორგის ოქმის აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად, შესაძლოა, საჭირო გახდეს დიდმასშტაბიანი პროექტის განხორციელება ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 5.2 | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის ან ექვივალენტური დოკუმენტის შემუშავება და აუცილებელი სამართლებრივი ჩარჩოს შექმნა |
| ქმედება 5.2.1 | საქართველოში არსებული მდგომარეობისა და სხვა განვითარებულ ქვეყნებში მიღებული საუკეთესო პრაქტიკის შეფასება |
| ქმედება 5.2.2 | სამართლებრივი აქტების შემუშავება |
| ქმედება 5.2.3 | სახელმწიფო უწყებებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების პოტენციალის ამაღლება |
| ქმედება 5.2.4 | საინფორმაციო კამპანიის ორგანიზება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (მნიშვნელოვანია მოთხოვნის შესრულებისთვის) |
| შემსრულებელი | სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 500 000 |
| განხორციელების ვადები | I-2017-დან IV-2018-მდე (2 წელი) |

²⁷გოტებორგის ოქმი: და დანართები IX, ა

ქვემოცანა 5.3. ჰაერის ხარისხის სფეროში კვლევების ხელშეწყობა

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი²⁸, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ²⁹, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ³⁰):

- *თითოეული მხარე ვალდებულია ხელი შეუწყოს კონკრეტულ სფეროებში ჰაერის ხარისხთან დაკავშირებულ კვლევებს, საქმიანობებს, მონიტორინგსა და თანამშრომლობას.*

ფინანსური რესურსების არსებული სიმცირის გათვალისწინებით, აუცილებელია იმის უზრუნველყოფა, რომ ოქმის ამ მოთხოვნის შესრულების დროს კვლევები ჩატარდეს ყველაზე მნიშვნელოვან და კრიტიკულ საკითხებზე. აქედან გამომდინარე, ოქმების რატიფიკაციისთვის მომზადების პერიოდში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უნდა გამოავლინოს ის ყველაზე მნიშვნელოვანი თემები სამეცნიერო კვლევებისათვის, რომლებიც განხორციელდება ადგილობრივი თუ საერთაშორისო დაფინანსებით. ამ სახის ანალიზის ჩატარება შეუძლიათ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ატმოსფერული ჰაერის დაცვის სამსახურის ექსპერტებს.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 5.3 | ანალიზის ჩატარება და პრიორიტეტული საკითხების გამოყოფა მომავალში ფინანსური დახმარების უზრუნველსაყოფად |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | მიმდინარე ხარჯები, სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | განათლების სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | სიტუაციიდან გამომდინარე |
| განხორციელების ვადები | 2014-2019 |

²⁸გოტებორგის ოქმი: მუხლი 8, 1

²⁹ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 8, 1

³⁰ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 6

ქვეამოცანა 5.4. ემისიების შემცირების ეკონომიკური, ნებაყოფლობითი და მარეგულირებელი ზომების მიღება

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი³¹):

გოტებორგის ოქმით აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით თითოეული მხარე, აუცილებლობიდან გამომდინარე და სარწმუნო სამეცნიერო და ეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე, ვალდებულია

- მიიღოს ნაკლებად დამაბინძურებელი პროცესებისა და პროდუქციის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობი ზომები;
- მართვის პროგრამების, მათ შორის, ნებაყოფლობითი პროგრამების, განხორციელებისა და ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების წახალისება ემისიების შემცირების მიზნით;
- ქვეყნის თავისებურებების გათვალისწინებით ისეთი სტრატეგიებისა და ზომების განხორციელება და შემდგომი განვითარება, როგორცაა ბაზრის ხარვეზების, ფისკალური წამახალისებელი ზომების, საგადასახადო შეღავათებისა და სუბსიდიების ეტაპობრივი შემცირება ყველა იმ დარგში, რომელიც წარმოქმნის გოგირდის, აზოტის ოქსიდების, ამიაკის, აქროლადი ორგანული საერთებისა და მყარი ნაწილაკების ემისიებს და წინააღმდეგობაში მოდის ოქმის მიზანთან; და საბაზრო ინსტრუმენტების გამოყენება.

გოტებორგის ოქმის მთავარი მიზნების მისაღწევად აუცილებელია არა მარტო ბევრი სამართლებრივი ღონისძიების განხორციელება, არამედ საჭიროა ემისიების შემცირების სხვადასხვა მარეგულირებელი და ეკონომიკური სტრატეგიების ამოქმედება. ოქმში მკაფიოდ არის განსაზღვრული ემისიების მთლიანი მოცულობების შემცირებისკენ მიმართული ეკონომიკური და ნებაყოფლობითი ზომების შემოღების აუცილებლობა.

კონვენციის აღმასრულებელმა ორგანომ დაამტკიცა სახელმძღვანელო დოკუმენტი რეგიონული ჰაერის დამაბინძურებლების ემისიების შემცირების ეკონომიკური ინსტრუმენტების შესახებ³², რომლის მიზანია, დაეხმაროს მხარეებს გოტებორგის ოქმით ემისიების შემცირების კუთხით აღებული ვალდებულებების შესრულებაში. დოკუმენტში აღწერილი ეკონომიკური ინსტრუმენტები (როგორცაა დაბინძურების გადასახადი, ნებართვებით ვაჭრობა) წარმოადგენს საბაზრო მექანიზმებს, რომლებიც ახდენს დაბინძურების შემცირების წახალისებას და უზრუნველყოფს ისეთ მოქნილ საშუალებებს, რომლებიც ხელს უწყობენ დაბინძურებასთან ბრძოლის რენტაბელური და ეფექტური ზომების მიღებას. სახელმძღვანელო დოკუმენტში განხილულია შემდეგი ძირითადი სახის ზომები:

³¹გოტებორგის ოქმი: მუხლი 8, 1, (ვ), (ზ), (თ)

³²სახელმძღვანელო დოკუმენტი რეგიონული ჰაერის დამაბინძურებლების ემისიების შემცირების ეკონომიკური ინსტრუმენტების შესახებ, 2013 წლის 19 ივლისი, გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო. იხ.: <http://www.uncece.org/environmental-policy/treaties/air-pollution/guidance-documents-and-other-methodological-materials/gothenburg-protocol.html>

| | |
|---|--|
| ემისიების ნებაართვევებითა და კვოტებით ვაჭრობა | იძლევა კომპანიებს შორის ემისიების ან წარმოების უფლებების გადანაცვლების (ან ერთი კომპანიის ფარგლებში აღნიშნული უფლებების დროსა ან სიერცეში გადანაცვლების) შესაძლებლობას |
| გადასახადი ემისიებზე და პროცესებზე | დამაბინძურებელი იხდის ფიქსირებულ ან ცვალებად გადასახადს ემისიის ერთეულზე ან დამაბინძურებელი საქმიანობის ერთეულზე |
| გადასახადი პროდუქციაზე და გადასახადის დიფერენციაცია | დამაბინძურებელი იხდის ფიქსირებულ ან ცვალებად გადასახადს დამაბინძურებელი პროდუქციის ერთეულზე; გადასახადი “უფრო სუფთა” პროდუქციაზე შეიძლება შემცირდეს |
| სუბსიდიები და წამახალისებელი ზომები | ფისკალური ნაკლები ემისიების გამომწვევი პროდუქციისა და პროცესების კონკურენტუნარიანობის გაზრდა სტანდარტულ ტექნოლოგიებთან შედარებით |

ეკონომიკურ და მარეგულირებელი ზომებთან ერთად უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს ნებაყოფლობითი ზომებიც. ასეთი ზომებია ნებაყოფლობითი გარემოსდაცვითი მართვის (ISO14001³³ ან EMAS³⁴), სისტემების პოპულარიზაცია და მათი დანერგვის ხელშეწყობა, ე.წ. “მწვანე ეტიკეტების” შემუშავება და პოპულარიზაცია, ინფორმაციისა და რჩევების მიცემა.

იმისათვის, რომ ზომები, რომლებიც შემუშავდება და განხორციელდება საქართველოში „შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსახაზდვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმების რატიფიკაციის შემდეგ, იყოს მაქსიმალურად ეფექტური არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია შეფასდეს სხვადასხვა ასპექტები, მათ შორის ემისიების წარმომქმნელი ძირითადი დარგები, საუკეთესო პრაქტიკა და ინფორმაცია უახლეს ტექნოლოგიურ და პოლიტიკურ მოვლენებზე, ასევე უახლესი ინფორმაცია ეკონომიკის სფეროში. აქედან გამომდინარე, ოქმების რატიფიკაციის შემდეგ, 8-10 წელიწადში, აღნიშნული მოთხოვნის შესასრულებლად აუცილებელია სიტუაციის სიდრმისეული შეფასება და ყველაზე შესაფერისი, ეფექტური და ქმედითი პოლიტიკისა და ზომების შემუშავება.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 5.4 | ისეთი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანიც იქნება არსებული მდგომარეობის შეფასება, პრიორიტეტების დადგენა და ემისიების შემცირებისკენ მიმართული ყველაზე შესაფერისი ეკონომიკური, მარეგულირებელი და ნებაყოფლობითი ზომების შემუშავება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |

³³<http://www.iso.org/iso/home/standards/management-standards/iso14000.htm>

³⁴http://ec.europa.eu/environment/emas/index_en.htm

| | |
|-----------------------|---|
| ხარჯები (ევრო) | საშუალო (5 000 – 50 000, განისაზღვრება რატიფიკაციის შემდეგ) |
| განხორციელების ვადები | I-2020-დან IV-2021-მდე (2 წელი) |

ქვემოთცანა 5.5. ენერგოეფექტურობის შემდგომი ზრდა, ენერჯის განახლებადი წყაროების და ნაკლებად დამაბინძურებელი საწვავის გამოყენების წახალისება და/ან არსებული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი³⁵):

გოტებორგის ოქმით აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით თითოეული მხარე, აუცილებლობიდან გამომდინარე და სარწმუნო სამეცნიერო და ეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე, ვალდებულია

- მიიღოს ზომები ენერგოეფექტურობის ამაღლებისა და განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშესაწყობად;
- მიიღოს ზომები დამაბინძურებელი საწვავის გამოყენების შესამცირებლად

საქართველოში შემუშავებულია და უკვე ხორციელდება ენერგოეფექტურობის ამაღლების, განახლებადი ენერჯისა და ნაკლებად დამაბინძურებელი საწვავის გამოყენების ხელშეწყობის სტრატეგიები და ზომები. თუმცა, ამ პროცესის უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია შემდგომი დახმარების გაწევა. მიმდინარე პროგრამების დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს მათი ეფექტურობის შეფასება და ახალი პროგრამებისა და ზომების შემუშავება.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 5.5 | ენერგოეფექტურობის ამაღლების, განახლებადი ენერჯისა და ნაკლებად დამაბინძურებელი საწვავის გამოყენების ხელშეწყობის უკვე განხორციელებული პროგრამებისა და ზომების ეფექტურობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი/ახალი ზომების შემუშავება |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | ენერგეტიკის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 30 000 |
| განხორციელების ვადები | I-2020-დან IV-2021-მდე (2 წელი) |

³⁵გოტებორგის ოქმი: მუხლი 6, 1 (ვ), (დ)

ქვეამოცანა 5.6. ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო სისტემის განვითარებისათვის საჭირო ზომების დანერგვა და არსებული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი³⁶):

გოტებორგის ოქმით აღებული ვალდებულებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით თითოეული მხარე, აუცილებლობიდან გამომდინარე და სარწმუნო სამეცნიერო და ეკონომიკური კრიტერიუმების საფუძველზე ვალდებულია

- შეიმუშაოს და დანერგოს ნაკლებად დამაბინძურებელი სატრანსპორტო სისტემები და ხელი შეუწყოს ტრანსპორტის მართვის სისტემებს სავაო ტრანსპორტიდან ემისიების შესამცირებლად.

სატრანსპორტო სექტორს დიდი წვლილი შეაქვს ატმოსფეროში ემისიების მთლიან მოცულობაში. ხშირ შემთხვევაში ემისიების მობილური წყაროებისთვის ემისიების ზღვრული სიდიდეების დაწესება ვერ ახდენს მსოფლიო მასშტაბით სატრანსპორტო სექტორის გაფართოების კომპენსირებას. აქედან გამომდინარე, ატმოსფეროში დამაბინძურებლების ემისიების შესამცირებლად აუცილებელია ისეთი დამატებითი ზომების მიღება, როგორცაა სატრანსპორტო ნაკადების ოპტიმიზაცია, საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარება და პოპულარიზაცია და გადაადგილების ისეთი ალტერნატიული საშუალებების გამოყენების წახალისება, როგორცაა ველოსიპედი. იმისათვის, რომ მიღებული ზომები იყოს ეფექტური, აუცილებელია არსებული მდგომარეობის ანალიზი და ზომების შემუშავება ანალიზის შედეგების საფუძველზე.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 5.6 | ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს ადრე განხორციელებული ზომებისა და პროგრამების შეფასებას და დამატებითი ან ახალი ზომების შემუშავებას |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (ან სახელმწიფო ბიუჯეტი) |
| შემსრულებელი | რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება |
| ხარჯები (ევრო) | 50 000 (ან ნაკლები, თუ ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან) |
| განხორციელების ვადები | I-2019-დან IV-2019-მდე (1 წელი) |

³⁶გოტებორგის ოქმი: მუხლი 6, 1 (ვ), (დ)

ქვეამოცანა 5.7. ისეთ ნაწარმში, როგორიცაა ელექტრომოწყობილებები, სამედიცინო აპარატურა, ლუმინესცენტური ნათურები, პესტიციდები, საღებავები და ა.შ., ვერცხლისწყლის შემცველობის მაკონტროლებელი ზომების შემოღების შესაძლებლობის შესწავლა

ოქმის კონსოლიდირებული მოთხოვნა (ოქმი მძიმე ლითონების შესახებ³⁷):

- *თითოეული მხარე ვალდებულია განიხილოს ნაწარმის მართვის დამატებითი ზომების შემოღება დანართი VII-ის გათვალისწინებით.*

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) მხარეებში ისეთი ნაწარმზე, ან ნაწარმის ჯგუფებზე, როგორიცაა ვერცხლისწყლის შემცველი ელექტრონაწილები, თერმომეტრები, მანომეტრები, ბარომეტრები, ფლუორესცენტული ნათურები, გარკვეული სტომატოლოგიური საშუალებები, პესტიციდები და საღებავები, ვრცელდება მარეგულირებელი ან ნებაყოფლობითი ზომები. ზომები ვრცელდება, სულ მცირე, ერთ ნაწარმზე მაინც იმის მიხედვით, თუ რამდენად დიდია მისი წვლილი მძიმე ლითონების შესახებ ოქმში განსაზღვრული ერთი ან მეტი ლითონის ემისიებში. აქედან გამომდინარე, თითოეულმა მხარემ უნდა შეისწავლოს არსებული ინფორმაცია და აუცილებლობის შემთხვევაში ზემოთაღნიშნული პროდუქციის მიმართ გამოიყენოს მართვის შესაბამისი ზომები.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 5.7 | არსებული მდგომარეობის შეფასება და მარეგულირებელი ან ნებაყოფლობითი ზომების შემოღების შესაძლებლობის შესწავლა |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 5 000 |
| განხორციელების ვადები | I-2010-დან IV-2021-მდე (2 წელი) |

³⁷ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 4 და დანართი VII

ამოცანა 6: ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგი

ქვეამოცანა 6.1. ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გაუმჯობესება ოქმებისა და ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი³⁸, ოქმი მძიმე ლითონების შესახებ³⁹, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ⁴⁰):

- *თითოეული მხარე ვალდებულია შეაგროვოს და განაახლოს ინფორმაცია ატმოსფეროში დამაბინძურებლების კონცენტრაციების (სათანადო შემთხვევაში - ნალექის) შესახებ*

„შორ მანძილებზე ჰაერის ტრანსსასაზღვრო დაბინძურების შესახებ“ კონვენციის (CLRTAP) ოქმებით განსაზღვრული დამაბინძურებლების კონცენტრაციებისა და ნალექის მონიტორინგის სათანადოდ ჩასატარებლად აუცილებელია ჰაერის ხარისხის არსებული მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება. ჰაერის ხარისხის არსებული მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებათვის საჭიროა მონიტორინგის ქსელის გაფართოება.

| | |
|----------------------------|---|
| ქმედება 6.1 | ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესება |
| ქმედება 6.1.1 | სახელმწიფო უწყებების შესაძლებლობების გაზრდა |
| ქმედება 6.1.2 | ადამიანური რესურსების უზრუნველყოფა |
| ქმედება 6.1.3 | მონიტორინგისთვის საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | დონორი (შესაძლებელია ნაწილობრივ სახელმწიფო ბიუჯეტიდანაც) |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, ადგილობრივი ხელისუფლება |
| ხარჯები (ევრო) | 4 900 000 |
| განხორციელების ვადები | I-2015-დან IV-2019-მდე (5 წელი) |

³⁸გოტებორგის ოქმი: მუხლი 6, 1(გ), (დ)

³⁹ოქმი მძიმე ლითონების შესახებ: მუხლი 3, 8

⁴⁰ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 8, 1

ამოცანა 7: ინფორმაციის გავრცელება

ქვეამოცანა 7.1. საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

ოქმების კონსოლიდირებული მოთხოვნა (გოტებორგის ოქმი⁴¹, ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ⁴²):

- *თითოეული მხარე ვალდებულია ხელი შეუწყოს საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდებას ქვეყანაში მოქმედი კანონების, რეგულაციებისა და პრაქტიკის შესაბამისად*

ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ჰაერის დაბინძურების შემცირების ღონისძიებებში საზოგადოების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ საკითხებთან დაკავშირებული ისეთი ინფორმაციის, როგორცაა ემისიების წლიური მოცულობები, ჰაერის დამაბინძურებლების კონცენტრაციები, ეროვნული სტრატეგიები, პროგრამები და შესაბამისი ზომები, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

| | |
|----------------------------|--|
| ქმედება 7.1 | ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლის პლატფორმის შექმნა ან არსებული სისტემების სრულყოფისა და განვითარებისათვის საჭირო რესურსების უზრუნველყოფა |
| დაფინანსების შესაძლო წყარო | სახელმწიფო ბიუჯეტი |
| შემსრულებელი | გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო |
| ხარჯები (ევრო) | 10 000 |
| განხორციელების ვადები | I-2019-დან IV-2020-მდე (2 წელი) |

⁴¹გოტებორგის ოქმი: მუხლი 5

⁴²ოქმი მდგრადი დამაბინძურებლების შესახებ: მუხლი 6